წელიწადი 1-ლი | გაზ. ფასი 3 შაური. | ტელეფონი № 76. | სამშაბათი სექტემბრის 12—(25) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . [illegible]
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს [illegible]
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 124 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 124

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ელისაბედი. შვილები სიმონ, ვლადიმერ და ვარლამ ბრეგაძეები, რძალი მარიამ ბრეგაძისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს უეცრივ გარდაცვალებას მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

## იოსებ გიორგის-ძე ბრეგაძისა,

რომლის გამოსვენება მოხდება კვირას, 17 ენკენისთვეს საფირჩხიის სასაფლაოზე ნაშვადღევის 4 საათზე (ძველი დროით). მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან თფილისის ქუჩა. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. (ძველი დროით). ცალკე ბარათები არ დარიგდება.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი

მაით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციასთან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. **საქართ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა.**
2. ვ. **წერეთელი.** შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი.** 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი.** ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

## სავალდებულო დადგენილება

**ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა.**

ადგილობრივ სასურსათო ორგანოების დებულებათა მე 13 მუხლის 20 პ. თანახმად ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა: ქ. ქუთაისიდან და ქუთაისის გუბერნიის საზღვრებიდან ადგილობრივ კავკასიური მატყლის „შალის" და მატყლის გატანა აიკრძალოს. ადმინისტრაცია რკინის გზათა, ფოსტა ტელეგრაფის კონტორათა და განყოფილებათა ევალებათ არ მიიღონ გუბერნიის საზღვრებს გარეთ გასატანათ ზემოთ აღნიშნული შალი და მატყლი, თუ კი შესაფერი მოწმობა ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის წარმოდგენილი არ იქნება ამ სავალდებულო დადგენილების აუსრულებლობისათვის, დამნაშავენი სასჯელთა წესდების მე 29-ე მუხლის ძალით, მომრიგებელ მსაჯულთა გადაწყვეტილებით 17 მარტ. 17 წ. დროებითი მთავრობის დადგენილების რედაქციის მიხედვით პასუხს აგებენ. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

**ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი**

## ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი,

ამით აცხადებს, რომ თავის სახელოსნოებისათვის მას ესაჭიროება

### მ ე წ ა დ ე ე ბ ი და მ ე წ უ დ ე ე ბ ი

პირობების გასაგებათ მიმართეთ სასურსათო კომიტეტში საღამოს 5 საათიდან 7 საათამდი.

## ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ტყავეულობის, დამზადებული ფეხსაცმელების და მიტკლის დარიგების წესები გაზეთებში ცალკე გამოცხადდება.

## სამტრედიის ქალ. საბჭოს არჩევნები.

1917 წ. 17 ენკენისთვეს დანიშნულია ქალ. სამტრედიის ხმოსნების არჩევნები, ქალაქი ერთ საარჩევნო ოლქათ არის აღიარებული. ამრჩევლებისათვის ხმის მიცემის გასაადვილებლათ საარჩევნო ყუთები დაიდგმება 5 ადგილას: 1. ილორის ორკლასიან სასწავლებელში. 2. მაცხოვრის სამრევლო შკოლაში. 3. მელოურში მიხეილ დიმიტრის-ძე ბუქუას სახში 4. საზოგადო კლუბის დარბაზში. 5. რკინის გზის კლუბში. ამ დანიშნულ ადგილებში ვისაც სად უფრო ეახლოვება ხმას იქ მისცემს.

**სამტ. საქ. საარჩევნო კომიტეტი.**

## ქუთაისის კომერციული სასწავლებელი

აცხადებს, რომ **დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი გ ა მ ო ც დ ა** ყველა კლასების მოწაფეებიისა დანიშნულია 15 და 16 სექტემბერს დილის 8 $^1/_2$ საათ. **მისაღები გამოცდა უნცროს მოსამზადებელ კლასში** და დანარჩენ კლასებში რომელშიაც აღმოჩნდება თავისუფალი ადგილები მოხდება 18 და 19 სექტემბერს. **სწავლა დაიწყება** 20 სექტემბერს დილის $8^1/_2$ ს. ძველი დროით.

**ქ ა ლ ა ქ ი ს თ ე ა ტ რ ი**

ხუთშაბათს ენკენისთვის 14, გაიმართება

## დიდი საღამო

**სამი განყოფილებათ**

I.

## ლექცია

II.

სალიტერატურო განყოფილება: ნ. ლორთქიფანიძე—სურათი; შ. ამირაჯიბი—სონეტი; დ. თომაშვილი—ლექსი და სხვანი.

III.

მუსიკალური განყოფილება: თავისუფალი მხატვარი ი. ს. მაგაზინერი (სკრიპკა). პარიზის კონსერვატორიის მოსწავლე კომპოზიტორი ვ. ჯაბადარი—(პიანინო) დაუკრავს საკუთარ ნაწარმოებს „ქაჯთა ცეკვას", მომღერალი ჩხაიძე—„შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი"; პიანინოზე დამკვრელი ქალი გოკიელოვის ასული პიანისტი ნ. შარაბიძე და სხვანი.

დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე (ძველი დროით).

ფასები ჩვეულებრივა ✖ დაწვრილებით პროგრამაში.

**საღამოს საერთო განათლების და მოსამზადებელი უფლებიანი კურსების**

მასწავლებელთა კოლეგია ამით აცხადებს, რომ ქალაქ ქუთაისში მან გახსნა

## 8-კლასიანი გიმნაზია

**უფლებით აღჭურვილი.**

ამ წლიდან გაიხსნება პირველი ხუთი კლასი სამი მოსამზადებელი განყოფილებით. საანბანო განყოფილებაში მიიღებიან გამოუცდელათ, დანარჩენ კლასებში კი შესაფერ გამოცდების შემდეგ. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებიდგან შეუძლიათ გადმოსვლა შესაფერ კლასში უეგზამენოთ. იმავე სასწავლებლის კურს დამთავრებულნი მიიღებიან მეხუთე კლასში გამოუცდელათ. მათ და ამ გიმნაზიის სუსტ მოწაფეებს საღამოობით უფასოთ გაუსწორებენ გაკვეთილებს.

მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 10—2 საათამდე.

**მისამართი:** ფოსტის შესახვევი (ფოსტის პირდაპირ), სახლი № 3.

### ს ა ჭ ი რ ო ა გ ა მ ო ც დ ი ლ ი

## მასწავლებელი

განათლებით არა ნაკლები **ინსტიტუტის,** გამგეთ პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებელში ს. **ახუთში.** მიეცემა წლიურად ძირითადი ჯამაგირი **1440 მ.** ბინის **360 მ.** ან მზა ბინა და **600 მ.** როგორც გამგეს გარეშე პროცენტული დამატების და დღიურისა.

მსურველს შეუძლია თავისი თანხმობა და საჭირო საბუთები წარმოუდგინოს ადგილობრივ სასკოლო საბჭოს—შემდეგი მისამართით: Черезъ Зугдиды и хабумское почтово-телеграфное отдѣленіе въ сел. Ахути, Школьному комитету.

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## დღევანდელი თათბირი.

დღეს პეტრეს ქალაქში გაიხსნება რუსეთის დემოკრატიულ ორგანიზაციების ყრილობა.

სახელმწიფოს ვითარება მეტად გართულებულია, რევოლუციის სავალი გზა ბნელმა მოიცვა. სახელმწიფური შემოქმედება მეტათ ძნელი შეიქმნა. პოლიტიკური პარტიები პარტიულ პროგრამას უქვემდებარებენ სახელმწიფურ აღმშენებლობას. რევოლუციურ გარდაქმნას ადრე დასჩემდა კლასიური დარაზმვა. დემოკრატიულ რეფორმებს მოკლებული ქვეყანა შეეცადა დაწინაურებულ სახელმწიფოებისთვის წინგაესწრო და თვითმპყრობელობის ნანგრევებზე უცებ საოცნებო ბედნიერება" აეშენებია, რუსეთის ინტელიგენციის შორის დოგმა მეფობდა. ენერგიულათ ებღაუჭებოდენ პარტიულ მცნებას. სახელმწიფოს ბორბალის ტრიალი ყველას თავისებურათ წარმოედგინა და ყველა თავის სურვილისამებრ ესწრაფოდა მის ბრუნებას.

თითეული პარტია სახელმწიფოს გემისთვის საკუთარ წრის მესაჭეს აყენებდა. მესაჭე ემორჩილებოდა პოლიტიკურ პარტიისპ როგრამას.

ასე იყო.

ამ ყოფამ რუსეთი კატასტროფამდე მიიყვანა. სოციალისტ რევოლუციონერი კერენსკი ესერთა პარტიისგან წინადადებას ღებულობს, რომ მისი მოქმედება შეუფარდდეს ესერთა პროგრამას. მინისტრი ჩერნოვი გაწბილებული დარჩა. მისმა კაბინეტურმა მიწის მოწყობის პროექტმა დიდი არევ-დარევა განუმზადა რუსეთს და ჩერნოვმაც უკან დახევა დაიწყო.

არც ერთი დებულება რევოლუციაში წამოყენებული ცხოვრების სინამდვილეს არ შესისხლხორცა. ვაჭრობა-მრეწველობა დაცემულია, ფინანსები დაქვეითებული, მიმოსვლის საქმე არეული.

მუშათა კლასი, პროლეტარიატი, ფხიზლათ სდგას და თაოსნობას მოითხოვს. გენერალ კორნილოვის ამბოხების შემდეგ მემარცხენე დემოკრატია დიდაქტივობას იჩენს. სოციალ დემოკრატები მეუმრავლესენი საჭიროთ სთვლიან, სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ახლავე სოციალისტურ მმართველობის ხელში გადავიდეს.

რა იქნება ხვალ, ჩვენ ამის წინასწარ მეტყველობას არ ვკისრულობთ. დღემდის, რაც მოხდა მან არიი და გაამწვავა რუსეთის მდგომარეობა.

ბრძოლის ველმა სახე გამოიცვალა. რუსეთის მთლიანობა დაირღვა. გარეშე მოწინააღმდეგემ სახელმწიფოს საზღვრები გაარღვია, რუსეთმა დიდ სახელმწიფოს სახელი დაკარგა. შინაური კრიზისიც საშინელი შეიქმნა. სურსათის კრიზისი შრომის დაკაპიტალის დავა, წარმოების შეჩერება. ეროვნული კითხვა, ყველაფერი ეს მთელი თავისი სიმწვავით რუსეთს წინ დაუდგა, მაგრამ რა? რუსეთის დემოკრატია დოგმას ვერ გასცილდა.

დღეს რუსეთის დემოკრატია იკრიბება და თავის სიტყვას წარმოსთქვამს. აწინდელ კრიტიკულ მომენტისთვის ყოველგვარ საცდელ რჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. განუსაზღვრელია მნიშვნელობა დემოკრატიის თქმისა, რომელიც მამოძრავებელია სახელმწიფოსი. ენკენისთვის 12-ს გამოაშკარავდება თუ რა გზას დაადგება რუსეთის დემოკრატია. ენკენისთვის 12-ს გამოაშკარავდება რუსეთის დემოკრატიის შეხედულება ეროვნულ კითხვაზე.

საქართველო დიდათ დაინტერესებულია ამ თათბირით. ჩვენთვის საყურადღებოა, თუ რას გვეტყვის რუსეთის დემოკრატია გვცნობს **ერათ,** მოისურვებს ჩვენს ეროვნულ-პოლიტიკურ უფლებების აღდგენას თუ იტყვის: „ახლა მაგის დრო არ არისო" ქართველები მოვალენი ვართ ჩვენი სურვილი, სამართლიანი საწადელი მთლიანათ, სრულის სინამდვილით და საბუთებით წარუდგინოთ ბჭობას. უნდა ვაუწყოთ, უთხრათ ის, რაც საქართველოსთვის აუცილებლობას წარმოადგენს.

ჩვენთვის დიდათ საჭიროა, ვიცოდეთ რუსეთის დემოკრატიის ჩვენს შესახებ აზრი, იმ დემოკრატიის, რომელთანაც ჭირის დროს მოწინავეობას ვეწეოდით. შეიძლება დღეს რუსეთის დემოკრატიამ ფრონტი გამოიცვალოს, პატარა ერთა მიმართ სამართლიანობის თვალთხედვა-საზომით ამოქმედდეს. ნეტამც!

**ი. იმერელი.**

## რუსული პრესა.

**სურსათის საქმე.**

გაზ. „ზემლიაში" ვინმე **გ. ვ.** სურსათ-სანოვაგის კითხვას ეხება და სხვათა შორის სწერს:

„სურსათის მთელ საქმეს სურსათის სამინისტრო განაგებს. ოთხი თვეა, რაც ეს სამინისტრო მოქმედებს, მაგრამ სურსათის საქმე არა თუ არ გაუმჯობესდა, არამედ ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ სახელმწიფოს სრულ რღვევას უქადის.

ჩვენ არ გავკიცხავთ ამა თუ იმ პირს, რომელიც ამ სამინისტროს სათავეში უდგა, და არც რღვევის მთელ პასუხის-გებას ვაკისრებთ ამ სამინისტროს. ეს მიდგომილი და უმართებულო სამართალი იქნებოდა.

მაგრამ სურსათის მინისტრმა პეშეხონოვმა ორი ისეთი შეცდომა ჩაიდინა, რომ სურსათის საქმე სრულებით არივდარია.

თვით მინისტრ პეშეხონოვს სწამდა, რომ წლევანდელი მოსავალი ჯარისა და მცხოვრებთა მოთხოვნილებას დაჰფარავდა და დიდძალი პური კიდევ ზედმეტი გადარჩებოდა.

მართლაც, გარდა იმ პურისა, რასაც პურის მოსავლიანი გუბერნიები ადგილობრივ თვითონ ხარჯავენ, ჯარსა და დანარჩენ მცხოვრებთ წლიურად 1.000 მილიონი ფუთი პური სჭირდება. წლევანდელ მოსავლის მიხედვით პურის მოსავლიან გუბერნიებიდან 1.100 მილიონ ფუთი პურის გაზიდვა შეიძლება. თუ ამას წინანდელ მოსავლის ნარჩენს მიუმატებთ, რომელიც 350 მილიონს უდრის, აღმოჩნდება, რომ რუსეთში სულ 1800 მილიონი პური მოიპოება, საჭიროა კი მხოლოდ 1.100 მილიონი, მაშასადამე, პური არა თუ საკმაო გვაქვს, არამედ 700 მილიონი ფუთი ზედმეტიც რჩება. მიუხედავად ამისა, ხალხი ნამდვილ შიმშილს განიცდის.

ეს ხდება მიტომ, რომ პური მემამულეებისა და გლეხების ხელში რჩება.

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ პურის მოსავლიან ადგილებიდან პურის გაზიდვა მოხერხდეს?

აი აქ გამოიჩინა სურსათის სამინისტრომ სრული უძლურობა. იგი საქმეს ვერ გაუმკლავდა.

სამინისტროს დაჟინებით უნდოდა უცვლელად დაეტოვებინა ის მაგარი ფასები, რომელიც პურზე გაზაფხულს დაწესდა.

ეხლა დროებითმა მთავრობამ, სურსათის მინისტრის სურვილის წინააღმდეგ, ყურადღება გლეხობის ღაღადისი და ამას წინად პურის ფასი ერთი ორად გაადიდა.

მინისტრი პეშეხონოვი თანამდებობიდან გადადგა; მას ძველ მაგარ ფასების დატოვება ეხლაც ჯეროვან საქმედ მიაჩნია.

მაგრამ ცხოვრება შეცდომას ჩქარა უჩვენებს.

სურსათის სამინისტრომ კიდევ ერთი შეცდომა ჩაიდინა: სურსათის მიწოდების საქმეს ვაჭართა კლასი ჩამოაშორა და მის ადგილას სასურსათო კომიტეტები, გამგეობანი და მოხელეები დააყენა.

600 ათასი ვაჭარი გარიყული დარჩა. თქმა არ უნდა, რომ ვაჭართა შორის ბევრი ჩარჩი მოიპოება. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ვაჭრებს, მეტადრე ნირდად მოვაჭრე მსხვილ კომერსანტებს, პურის კომპანიებს, დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვთ და მრავალი ათასი მოხერხებული ნოქარი უდგასთ სამსახურში.

დროებითი მთავრობა, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ვაჭართა გვერდის ახვევით ფონს ვერ გავა, და გადასწყვიტა, დახმარებისთვის სავაჭრო კაპიტალს მიმართოს.

სურსათის მინისტრი მთავრობას ამ საქმეშიც არ დაეთანხმა. იგი საქმის ძველ პირობებში დატოვებას ემხრობოდა.

საჭიროა, რომ პეშეხონოვის მიმდევარი მინისტრი საქმის კაცი იყოს და არა წიგნისა. ის უნდა იყოს გამოცდილი და მოხერხებული მუშაკი, მკაცრად უკვირდებოდეს ცხოვრების სინამდვილეს და შეცდომების გასწორება არ ეზარებოდეს".

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**მინისტრი სალაზკინი სწავლა-განათლების შესახებ.**

**პეტროგრადი.** ენკ. 7. სწავლა-განათლების სამინისტროს ახალმა მმართველმა სალაზკინმა გაზეთების თანამშრომლებს განუცხადა: ამჟამად ჩვენი უწყების წესიერი მუშაობა შეიძლება მხოლოდ ახლად წარმოშობილ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან თანხმობით. საჭიროა თანხმობითი მოქმედება სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და უმაღლეს სასწავლებლის სარეფორმო კომისარიატთან. ახალ საქმეს ახალი კაცები სჭირია. მათი საქმეში ჩაბმა თან და თანობით უნდა ხდებოდეს, რათა საქმის ტეხნიკა არ დაბრკოლდეს, რომელიც გამოცდილებას მოითხოვს. სახალხო განათლების უწყების რეორგანიზაცია უკვე გათვალისწინებულია. განზრახულია ოთხი დეპარტამენტის დაარსება: უმაღლესის, საშუალოსი, დაბალი განათლებისა და სკოლის გარეშე და პროფესიულ განათლების. საერთო საქმეთა დეპარტამენტი უნდა გაუქმდეს და მისი საქმეები სხვა დეპარტამენტებს გადაეცეს. უნდა დაწესდეს სამინისტროს კანცელარია, სადაც ყველა დეპარტამენტიდან თავს მოიყრიან ზოგადი ხასიათის კითხვები. ყველა სასწავლებლის საერთო ხელმძღვანელობით შეკავშირება მორიგი კითხვაა, რომელსაც განიხილავს მოკლე ხანში მოსაწვევად განზრახული პედაგოგთა ყრილობა.

სიტყვის დასასრულს მინისტრმა აღნიშნა ფართე შემოქმედებითი მუშაობის საჭიროება წარსულის იმ ძველი ცოდვების გამოსასყიდად, რომელთა წყალობით ხალხი გაუნათლებელი დარჩა, რაც დიდი საფრთხეა სამშობლოსა და რევოლუციისათვის. სიძნელის მიუხედავათ, მთავრობამ უნდა შეურყევლად გაატაროს მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე გათვალისწინებული რეფორმები.

**ჯარისა და ფლოტისადმი.**

**პეტროგრადი.** ენკ. 8. რუსეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა დარწმუნებულია, რომ რესპუბლიკის დასაცავად საჭიროა სულით ძლიერი, ბრძოლის უნარის მქონე ჯარი და ფლოტი. კორნილოვის აჯანყებამ ჯარსა და ფლოტში გააძლიერა უნდობლობა აფიცერთადმი. დროებითი მთავრობა აცხადებს, რომ აფიცერთა უმრავლესობის რესპუბლიკისადმი ერთგულება ყოველ ეჭვს გარეშეა. ამიტომ ამიერიდან მთელ აფიცრობისადმი უნდობლობის ქადაგება რესპუბლიკის ღალატს წარმოადგენს, რადგან იგი არღვევს იმ საფუძველს, რომელიც რუსეთის ხსნისათვის აუცილებელია.

1) ამის მიხედვით დრ. მთავრობა ითხოვს უფროსებს, რომელთაც არ შეუძლიათ ჯარის ხელმძღვანელობა მტრის მოსაგერებლად და რესპუბლიკის დასაცავად; 2) დრ. მთავრობა სცვლის უმაღლეს მთავარსარდლის ბანაკის შემადგენლობას, რამდენადაც მას კორნილოვის ამბოხებაში წილი უდევს და გადაყენებულთა მაგიერ ნიშნავს რესპუბლიკის ერთგულსა და გამოცდილ აფიცრებს; 3) დრ. მთავრობას გამოყავს ბანაკიდან კორნილოვის ამბოხებაში მონაწილე ჯარი და შეჰყავს იქ რესპუბლიკის ერთგული ჯარის ნაწილები; 4) კორნილოვის ამბოხებაში ყველა მონაწილეს დრ. მთავრობა პასუხის გებაში აძლევს; 5) დრ. მთავრობა მოითხოვს, რომ ჯარი და ფლოტი ნორმალ ცხოვრებას დაუბრუნდეს, აღადგინოს ურთიერთობა აფიცერთა და ჯარისკაცთა ორგანოებს შორის იმ პირობით, რომ ჯარის უფროსებს საოპერაციო და სასწავლო სფეროში სრული თავისუფლება ჰქონდეს.

**მოწოდება მტრისაგან თავდაცვისათვის.**

**პეტროგრადი.** ენკ. 9. თავდაცვის დემოკრატიული ორგანიზაციები მოუწოდებენ მოქალაქეთ, ქვეყნის დასაცავად დემოკრატიის გაერთიანება მოახდინონ, რადგან ავსტრო-უნგრეთი სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს რუსეთის რესპუბლიკას, თუ მან თავის დაცვა ვერ მოახერხა. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტი მოუწოდებს ფრონტის კომიტეტებს, ხელი შეუწყონ ჯარის ბრძოლის უნარის აღდგენასო.

**დატუსაღებულთა განთავისუფლება.**

**მოსკოვი** ენკ. 7. პალატის პროკურორის განკარგულებით გაათავისუფლეს კორნილოვის აჯანყების გამო დატუსაღებულნი: ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებლის უფროსი გენერალ-მაიორი მიხეევი, ოფიცერთა კავშირის მოსკოვის განყოფილების თავმჯდომარე პოლკოვნიკი კაზაჩკოვი, გიორგის კავალრების ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე სკარჟინსკი და შტაბსკაპიტანი რუდაკოვი. ყველა განთავისუფლებულია უდანაშაულობის გამო.

**ბრძანება დასავლეთ ფრონტ-ს ჯარებისადმი.**

**პეტროგრადი,** ენკ. 8. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ამბების გამო ჯარში გაძლიერდა უნდობლობა და ანტაგონიზმი, რასაც შეუძლია ჩვენს ჯარს ბრძოლის უნარი დიდად შეუსუსტოს. ეს მხოლოდ გერმანეთს ახარებს, რომელიც მთვრალია რიგის გამარჯვებით. სამოქალაქო ომის საშიშროება ახალი უბედურებაა რუსეთისათვის. ნუ გავაძლიერებთ მას შუღლით, უნდობლობით. ყველაფერს, რაც მოხდა, მიუდგომელი სასამართლო გაარჩევს. კორნილოვს გენერლების, ოფიცრების და ჯარისკაცთა მხოლოდ მცირე ჯგუფი გაჰყვა. უდიდესი ნაწილი ჯარისა მთავრობის ერთგული დარჩა. ბრძანება მოუწოდებს ოფიცრებს, როგორც უფრო შეგნებულთ და განათლებულთ, მოერიდონ ყველაფერს, რაც ჯარისკაცების უნდობლობას იწვევს. ჩამოვარდნილ უთანხმოებას გერმანეთის აგენტები და შპიონები თავის მიზნისთვის გამოიყენებენ. ბრძანება იმედს გამოსთქვამს რომ ჯარის კომიტეტები ხელს შეუწყობენ ბრძანებაში გამოთქმულ აზრების გავრცელებას.

**ჯარის რეფორმა.**

**პეტროგრადი.** ენკ. 7. ჯარისკაცთა და მუშათა ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის დღევანდელს კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო მინისტრმა ჯარების რეფორმის შესახებ. უმთავრესი დანიშნულება ისაა, რომ შეერთებული სამხედრო ძლიერება ჩვენი ჯარებისა აღდგენილ იქმნასო. ამ დანიშნულებას ორ გზით მივაწევთ, ჯარის გასწორება შეგვიძლიან ტყვიისმფრქვევლებით, შოლტით და მათრახით, ესაა კორნილოვის საშუალება დისციპლინის აღსადგენათ. შესაძლებელია კიდევ მეორე გზა, გზა ჯარისკაცთა მეომრის დანიშნულების შეგნებისა, რასაც ხელი უნდა შეუწყონ თვითონ ჯარის უფროსებმა. მხოლოდ შინაგან ორგანიზაციას და მჭიდროდ შეთანხმებას შეუძლიან ბრძოლის უნარი ჩაგვინერგოს. აქნობამდინ მთავრობა ამბობდა: თუმცა ჯარის ხელმძღვანელებს არ უნდა ვენდოთ პოლიტიკურს ნიადაგზე, მაგრამ ტეხნიკის საკითხში უნდა მათს განკარგულებას დავემორჩილოთო, ეხლანდელი მთავრობა ამბობს: მთელი რიგი ხელმძღვანელებისა, ვინც არაა ცოდნით აღჭურვილი, შეცვლილი იქმნება მეორეთი, პოლიტიკურად ტეხნიკურადაც მომზადებულით. მთავარი ბანაკის გამგებლობა უკვე იცვლება, ვიფიქრით ვითომც მათ არა იცოდნენ რა კორნილოვის შეთქმულობის შესახებ. შენიშნულნი შეთქმულობაში, სამსჯავროს წინაშე წარადგინეს. მთავრობამ გამომძიებელ კომის. თქვენც მიგაღებინათ მონაწილეობა. მეორე ჩვენი დანიშნულებაა თვითონ არმიის რაოდენობა შევამციროთ, რადგანაც ჩვენს ქვეყანას ეკონომიურად არ შეუძლიან ამოდენა ლაშქრის შენახვა. მიზეზი ამისა არის ლაშქრის ტეხნიკურად მოუწყობლობა. დღემდე ერთი მეათედი ლაშქრისა ნამდვილად იბრძოდა, ცხრა მეათედი კი ზურგს უმაგრებდა. ეხლა ერთი-მესამედით შემცირებული იქნება ზურგით მდგარი ჯარი, ტყვიისმტყორცნელები, ზარბაზნები და მებრძოლნი კი იმდენივე დარჩება. ასევე გამოაბრუნებენ ზედმეტ ცხენს და საბარგო ურემს. თავის-თავის იმედი—აი თავარი პრინციპი ყოველი მომქმედი ჯარისა. აქამდე ზემოდ ბრძანებლობა იყო და ქვემოდ მორჩილება, დღეს ასე აღა- შეიძლება. ზემოდან მხოლოდ დირექტივების მიცემა შეიძლება, ხოლო შესრულე- უნდა მიენდოს მებრძოლთა თაოსნობას. სუვოროვის პრინციპის შემდეგ მინისტრმა თქვა: ჯარ შევუდგებით ხელმძღვანელ- გამოცვლას, ვინც ნაკლები ცოდნით არ- აღჭურვილი. სამხედრო მოქმედება მაშ- წავა კარგად, თუ იგი ეყრდნობა ფართ- დემოკრატიას და მის ორგანოებს.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**დასავლეთის ასპარეზი**

**ლონდონი.** ეკენისთვის 8 გუშ- ლანგემარკის მიმართულებით ჩვენ მ- წინააღმდეგზე იერიში მივიტანეთ გამარჯვებაც ვნახეთ, წამოვიყვან- მრავალი ტყვე ხელთვიგდეთ დიდძა- იარაღი. დანარჩენ ადგილებში დი- ცვლილება არ ყოფილა.

**რომი.** ეკენისთვის 8 მენეტის ვე- ზე. ჩემერდილნის მახლობლად მოპირ- პირეთ ჩვენზე მძაფრი და ძლიერი იერი- მოიტანა, მაგრამ უკუვაგდეთ. კოლებრ- კონზე მტერს წავართვით ერთი პოზიცი- მაგრამ შემდეგ იერიშებით შემოგვებრძ- ლენ და ჩვენც დავსტოვეთ ხსენებუ- ადგილი.

**პარიზი** ენკ. 9. ჟუის გაყოლებ- მტერმა უნაყოფოთ ბრძოლა აწარმო-

**ბრძოლა ჰაერში**

**პარიზი** ჩამოვაგდეთ მტრის ჰაეროპლან-

**მოქმედება ბალკანეთზე**

მთელი ბრძოლის ასპარეზზე საარტილ- რიო ბრძოლა ცხოველდებოდა. დოირ- ნის ტბასთან ბრიტანეთის ჰაეროპლანებ- ურდის ყუმბარები დაუშინეს.

**ჰავრი.** ენკანისთვის 6, 7, 8, და 9 მთელ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლ- ჩვენმა მფრინავებმა მინდობილობა-დანიშ- ლება წესიერად შეასრულეს.

**პეტროგრადი,** ენკენ. 8-ს. ამინდი გა- კეთდა, ორივე მხრიდან მფრინავთა მო- მედება დიდი სიცხოვლით წარმოებ- მტერი პირველ შემოტევის შემდეგ მ- ყნარდა და შემოტევა აღარ განუახლე- სამხრეთ-დასავლეთით ლუცკის მიმართ- ლებით მტრის არტილერიამ უფრო მ- ცრი მოქმედება გამოიჩინა.

**პეტროგრადი** ენკ. 8. ოფიციალურ- რიგის მიმართულებით, არტილერიის მდეგ მტერმა შეტევა განაახლა. შეტ-

---

## წყალტუბოს სამკურნალო აბანოები.

**წერილი მესამე**

(გაგრძელება)

მაშ სიდგან დაიბადა ეს, ხალხში ფრიად გავრცელებული, აზრი, რომ წყალტუბოს ექიმობის სეზონი, ყველაზედ უფრო ქარებიანისათვის საჭირო დროს ჩერდება, და უფრო ნოტიო და ცივ დროს აგზავნიან იქ საექიმოდ ავათმყოფებს? ეს გარემოება ადვილი ასახსნელია, თუ მას დაუკვირდებით და საექიმოდ მიმავალი ხალხის ვინაობას გამოვიკვლევთ.

წყალტუბოს აბანოები, როგორც მოგეხსენებათ, ევროპიულ კურორტებს არა ჰგავს, აქ კაცს გაჭირვება თუ მიიყვანს, ან დიდი რწმენა და იმედი, თორემ ვისაც შეძლება აქვს, სხვა და სხვა ქვეყნებში ამ გვარი საექიმო ადგილები უნახავს, რომ წყალტუბოს მისვლითთავს არ შეიწუხებს, რადგანაც ყოველ გვარ მოწყობილებას ელემენტარული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოკლებული იქმნება. წყალტუბოს განსაკუთრებით ღარიბი ხალხი დადის საექიმოდ და სწორეთ წყალტუბოს აბანოებით, ახალ მოდას ენაზე რომ ვთქვათ, სარგებლობენ ნამდვილი „პროლეტარები", ბურჟუები კი გაურბიან მას და სხვაგან ისვენებენ. წინა წერილში ნათქვამი იყო, რომ წყალტუბოს აბანოებით განსაკუთრებით ჩვენი გუბერნიის მცხოვრებნი სარგებლობენ და შორიდან მოსულ ხალხს იქ იშვიათად შეხვდებით. იქ მოსული დაავათმყოფებულ ხალხის ცხრა მეათედი ქუთაისის მაზრებიდან არის ჩამოსრული. სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის მაზრებისა, ბათუმის და ფოთის მცხოვრებნი შეადგენენ დიდს უმეტესობას, ამათ უფრო ემხრობათ ეს აბანოები. როგორც მოგეხსენებათ, ყველა ეს მაზრა ნამდვილი მალარიის ბუდეა. ამას ისიც უნდა დავსძინო, რომ მალარია ბევრნაირია და ხალხსიც სხვადასხვანაირათ ხდება ავად. ცუდად ნაექიმევი მალარიით ავათმყოფები ხშირად უჩივიან სახსრებისა და ძვლების ტკივილებს და ამას ქარებით ავათმყოფობას ეძახიან. რასაკვირველია, სოფლის ხალხი ჩვენში კარგს ექიმობას მოკლებული არის და ქინაქინას სიძვირის გამოსაკმარისს ვერ შოულობს და, თუ იშოვა, მისი ხმარებაც არ ისიც: რამოდენიმე დოზა თუ მიიღო-და იცის ღმერთმა იცის, რა დროს და რა თვისების ქინაქინა-თაკი მორჩენილათ მიაჩნია, მაგრამ საუბედუროთ, მალარია ასე ადვილათ არ რჩება და თხოულობს უფრო სერიოზულ და ხანგრძლივ ექიმობას, რომლისათვის ღარიბ ხალხს არც საშუალება და არც დრო აქვს. ამ გვარ შემთხვევში ამას მალარია ხშირად უბრუნდება, ძალას და ღონეს უკარგავს, ბევრს ტკივილებს აუშლის და მათ რიცხვში ძვლებისა და სახსრების ტკივილსაც იწვევს. ამ რიგად დასნეულებელი ადამიანი მიეშურება წყალტუბოს, რადგან იცის, რომ ეს აბანოები ამ გვარი ტკივილისათვის, რომელსაც ის ქარებათ სთვლის, სასარგებლო არისო.

ექიმებმა კარგათ იციან, რომ ავათმყოფი მალარიით, როდესაც ის ჰაერს იცვლის და თან თბილ წყალშიდ დაიწყებს ბანაობას, ყოველთვის უნდა მოელოდეს, რომ მას მალარია პირველათ გაუხსენებს, მაგრამ შემდეგ კი სასარგებლო რჩება ეს ჰაერის გამოცვლა. სწორედ ამის გამო გაიძახიან, რომ წყალტუბოს აბანოებში ბანაობამ მალარია შემყარაო. ეს რომ მოუმზადებელმა ხალხმა სთქვას დიალაც ეპატივება, მაგრამ ზოგიერთ ექიმს რომ ეს სჯერა, უნდა გვიკვირდეს. ხშირად ჩემთვისაც შემოუჩივლიათ ავათმყოფებს, რომ წყალტუბოს ვიბანავე და მალარიით ავათ გავხდით, მაგრამ, როდესაც ის გამისინჯავს, შემიტყვია მისი მუდმივი საცხოვრებელი ბინა და ის გარემოებაც, თუ რამიზეზის გამო წასულა ის წყალტუბოს საექიმოდ ადვილად დავრწმუნებულვარ, რომ ის წინეთ მალარიით ყოფილა ავად და არა ქარებით, როგორც მას გონებია, და წყალტუბოში მისთვის მხოლოდ ძველ ავათმყოფობას გაუხსენებია, რაც ადვილად შესაძლო იყო ყოველ სხვა ადგილსაც. ხშირად ექიმები მალარიით ავათმყოფებს ვაგზავნით სურამს ცემს, აბასთუმანს და სხვა და სხვა ამგვარ საზაფხულო ადგილს და იქაც ასე ემართებათ, მაგრამ არავინ არ ამტკიცებს, რომ ზემოხსენებული ავარაკები კაცს მალარიას უჩენდეს.

მალარია ვრცელდება მხოლოდ ერთნაირი კოღოს საშუალებით. ეს ისე ცხადია დღეს ყველა ექიმისათვის, როგორც ორჯერ ორი-ოთხია. ამ უბედურ და ადამიანის ჯანმრთელობისათვის ერთობ მავნე სენის, როდესაც მალარიაა გავრცელდება მოითხოვს სამს პირობას და, თუ ისინი ერთსა და იმავე დროს ერთად არ შეხვდენ, მაშინ მალარიით დასნეულება არ შეიძლება. პირველი პირობა არის, რომ კოღო „ანოფელესი" იყოს. ეს კოღო განსხვავდება სხვა კოღოებისაგან და მუდამ იბუდრება ბნელ კუთხეებში, ანუ საწოლს ქვეშ, ანუ სადმე მიყრუებულ ადგილას და ღამით გამოდის კაცის, ანუ საქონლის საკბენათ. მალარიას ავრცელებს მხოლოდ დედალი კოღო ანოფელესი და არა მამალი, თუმცა ესეც მწარეთ იკბინება.

მეორე პირობა მდგომარეობს იმაში, რომ ამ კოღომ წინდაწინ უნდა გამოწოვოს მალარიით ავათმყოფის სისხლი და გადაიმუშაოს. მესამე პირობა ის არის, რომ კოღომ უნდა დაკბინოს ადამიანი, რომელსაც წინეთ მალარიის სენი არ დამართნია, ანუ თუ დამართნია ოდესმე ექიმობით სულ მორჩენილა და განთავისუფლებულა ამ სენისაგან.

ამ პირობებში თუ რომელიმე გამოაკლდა, მაშინ მალარია არ გაუჩნდება არავის და ვინაიდან წყალტუბოს სამკურნალო აბანოებზე არც მე, არც სხვა ექიმს და არც განათლებულ ხალხს, რომელიც აქ ჩამოდის საექიმოდ, არაოდეს უნახავს ეს კოღო, **ამისათვის ვამტკიცებ დაბეჯითებით, რომ წყალტუბოს აბანოებზე მალარია არ არის, და სულ უსაფუძლოთ უკარგავთ ხალხს საშუალებას, რომ იექიმონ აქ კვირკობის და მარიამობის თვეშიდაც.** მართალია, ამ დროს აქ დიდი სიცხეები იცის, მაგრამ ეს კიდევ უფრო მოსახდენია ქარებით ავათმყოფებისათვის.

ახლა დაუბრუნდეთ იმას, თუ როგორი აზრი შეიმუშავა ეგრეთ წოდებულმა სანიტარულმა კომისიამ, შესახებ წყალტუბოს მდებარეობისა, მისი ჰაერისა და გავლენისა ჯანმრთელობაზე. ამ კომისიის თავმჯდომარეთ იყო დანიშნული ვიცე გუბერნატორი ვეტცელი, წევრებათ ქალაქის თავი და ხუთი ექიმი, რომელთაც პირველად შეიმუშავეს ისეთი უცნაური აზრი წყალტუბოზე, რომ სრულიად **საკმაო იქნებოდა მისი გამომჟღავნება პეტროგრადის უმთავრეს ექიმთა საბჭოში, რომ წყალტუბოს ხსენება სამუდამოთ გამქრალიყო** და მის ძალდატანებით გამოყიდვა მთავრობისათვის შეუძლებელი გამხდარიყო. იმ ოქმში ნათქვამი იყო, რომ „წყალტუბო ისეთი მალარიანი ადგილია, რომ იქ ცხოვრება შეუძლებელია ზაფხულობით, რადგან აბანოების მდებარეობა წარმოუდგენელათ ცუდია და ყველა იქ მისულს საექიმოდ მოელის მალარიით დასნეულება.

თვით ადგილთბრივი მცხოვრებლები აბანოს ახლოს არ ესახლებიან და სცხოვრებენ ახლო-მახლო მთებზედო, მაგრამ მაინც ხშირად მსხვერპლად ხდებიან იმ უცნაურს მალარიისა, რომელიც წყალტუბოს არის გავრცელებული."

ამ ოქმზე კომისიის წევრებს ყვე- სამს გარდა, ხელი მოეწერა და მეც მიტანეს მოსაწერად. გადვიკითხე და ძ- ერ განვცვიფრდი. მაშინვე მივმართე ყ- ლა წევრს, რომ ეს ოქმი არ გაეგზავნ- ექიმთა საბჭოსათვის და არ დაეღუ- უამისოთაც დაღუპული წყალტუბოს დი. დიდი ომი გავსწიე და ოქმი შევა- ლევინე, თუმცა მალარია არისო მა- ჩაწერეს, მაგრამ ისე, როგორც ყოვე- გან კავკასიაშიო.

ეს ცხადათ ამტკიცებს, რომ მთე- ქუთაისის ინტელიგენცია და მათ შო- ექიმებიც გამსჭვალული არიან იმ აზრ- რომ წყალტუბო მალარიის ბუდეა აქამდის ვერ გამიგია ეს უსაფუძვლო- რი რაზედ არის დამყარებული? ჩემი ხედულება უკვე მოვიყვანე, და თუ შემცდარი ვარ და ვინმე ექიმთაგანი მიმტკიცებს, რომ მე ვსცდები და წყ- ტუბოს მალარია არის, მადლობელი უხდები.

მთელი წყალტუბოს აბანოების მდ- რეობა დაწვრილებით იყო აღწერი- პლანი იყო აღებული და ამაში ნაჩვე- ბიც იყო, თუ ვის რამდენი მიწა-წყ- ეკუთვნის ამ წყალტუბოს ფარგალში. რიგათ შემუშავებული მასალა უკვე გი ხანია რაც სამინისტროში გაგზა- ლია, მაგრამ პასუხი რევოლუციის და- ბამდის არ იყო მიღებული და ახლა გასარჩევად როდის მოიცლიან ძნელი ქმელია. მე კი ახლანდელ მდგომარე- ბაში უფრო მეტს მოველი მეტადრე ლი, როდესაც ერობის შემოღება გ- წყვეტილ საქმეთ ითვლება და იმ შ- ხვევაში, თუ მთავრობამ არ იკისრა აბანოების შესყიდვა, ერობა გვერდს აუვლის ამ მთელ ერისათვის დიდ — სა- გებლო საქმეს.

**ექიმი დ. ნაზაროვ-**

სისევლის მიმართულებით ჩვენ მკაცრი თავდაცვით მოვიგერიეთ. იაკობშტატი დი მიმართულებით 8 სექტემბერს მტერმა დიდი საარტილერიო ცეცხლი გაჩაღა. იგი უშენდა თნრილეს დოქტერს და ზელბურგის მიმართულებით. აგრეთვე სხვა ადგილ შიდაც მოქმედებდა მტერი და ქიმიურ საშვალებებს ხმარობდა. შუადღისას გერმანელები იერიშით მოვიდნენ და დაიკავეს ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი პოზიციები. ადამიჟანსთან შემოიჭრნენ ჩვენ ზანაკებში და ხელთ იგდეს რამოდენიმე ადგილები. დვინიდგან ორი ვერსტით ჩვენი ჯარი უკან იხევს. თერხმას-დასავლეთით პოსტავის რუმინელების ფრონტზე 7 სექტემბერს მტერი არტილერიის შემზადების შემდეგ სამჯერ მოვიდა იერიშით.

რუმინელების პოზიციებზე. მუნჩელის სამხრეთით სუყველა იერიში მოვიგერიეთ. მტრის სურვილების წინაამდეგ 8 სექტ. სამხრეთით გროზეშჩისა შემოტევა მოგერებული იქნა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

## კადეტები და კოალიცია.

„იზვესტია სოვ. დეპ." სწერს: კადეტებმა მთავრობაში ყოფნის დროს თავისებური ატმოსფერა შექმნეს. მათ შეუძლებელი გახადეს კოალიციური მუშაობა და უარყვეს თვით ამ კოალიციის ოფიციალი სავალდებულო დებულება.

## დემოკრატიის თათბირის შესახებ.

„ვოლია ნაროდა", სწერს: ენკენისთვის 12-ს თათბირი ვერ იქნება სრულიად რუსეთის მშრომელ მასის ნების-ყოფის გამომხატველი.

თათბირს იწვევენ ერთმანეთში მოქიშპე ფრაქციები და ძნელია იმის თქმა, რომ მათ საყოველთაო ნდობა-გავლენა მოიპოვონ.

გაზ. „რეჩი" აღნიშნავს, რომ დემოკრატიის თათბირში მონაწილეობის მიღებაზე ბევრმა უარი განაცხადა, მაგალითად ციმბირის ერობამ, მოსკოვის სახალხო ბანკმა, ციმბირის ზეთის დამამზადებელმა არტელებმა და ბოლოს სრულიად რუსეთის კოოპერაციების საბჭომ. კოოპერაციების წარმომადგენელთ თათბირზე 150 ადგილი ჰქონდათ დათმობილი.

„რუსკ. ვოლია", ამბობს: არშეიძლება სახელმწიფუფლება-უფლების დაშლა დაწიწკვნა, და მის ხალხის ზეგავლენის ქვეშ მიქცევა და თუგინდ რევოლუციურ დემოკრატიისთვის დაქვემდებარება.

„დონი" სწერს: დემოკრატიის ერთი ნაწილი ერთფეროვან მმართველობის შედგენას მოითხოვს, საჭიროა ამასთანავე წარმოვადგინოთ, რომ, ეს ასე რომ მოხდეს, მაშინ ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურამდე და კომუნამდე მივალთ.

ბოლშევიკების „რაბოჩი პუტი" ამბობს: ახლა რომ გლეხობას კოალიცია ურჩიოთ, ეგ იმას მოასწავებს, რომ ბოლშევიკების აჯანყება ხელოვნურათ განზრახ გამოიწვიონ.

გ. პლეხანოვის „ედინსტვო" სწერს: დემოკრატიამ, რომ ბურჟუაზიასთან ურთიერთობა შესწყვიტოს და მტრული განწყობილება მიიღოს, ამას დიდი უბედურება მოყვება. წააგებს დემოკრატია და არა ბურჟუაზია. მაშინ უსათუოდ მოსალოდნელია ბრძოლის ველზე დამარცხება და ეკონომიურ რღვევის გაძლიერება.

## ენგელსი პროლეტარიატის მმართებლობის შესახებ.

„პროლეტარიატისთვის ისეთ საფრთხეს არაფერი წარმოადგენს, როგორსაც მმართველობის ხელში იმ დროს ჩაგდება, როდესაც პროლეტარიატს ამისთვის გამოცდილება და უნარი არ შესწევს".

## დიქტატურა უკვე არსებობს.

„სვობოდნაია ჟიზნი" სწერს: დემოკრატიის დიქტატურა პრინციპიულათ უკვე მიღებულია და ფაქტიურათ ხორცს ისხამს. ახლა საჭიროა, რომ დემოკრატიულმა თათბირმა (12 ენკ.) დააწესოს წმინდა დემოკრატიული მმართებლობა დამფუძნებელ კრილობის მოწვევამდე.

## კადეტების ბოიკოტი.

„ზემლია ი ვოლია" და „რაბოჩაია გაზეტა" სწერენ: კადეტები დემოკრატიულ თათბირში წარმომადგენელს არ გზავნიან ამით კი ისინი სრულიად რუსეთის დემოკრატიის ბოიკოტს უცხადებენ, თუ ვინცობაა ბოლოს კადეტები მოისურვებენ თათბირში მონაწილეობას, რევოლიუციონურმა დემოკრატიამ მათ ხელი არ უნდა შეუშალოს.

## ბოლშევიკებისგან განცალკევება გვიხსნის.

„ბირჟ. ვედ." ამბობს: ბოლშევიკებთან კავშირის შეწყვეტა და მათგან ჩამოშორება ერთად ერთი მართალი გზა არის, რომელსაც ძალუძს სამშობლოს და რევოლუციის ხსნა.

## ხმები ზავის შესახებ.

„ბირჟ. ვედ" (საღამოს გამოცემა) სწერს: ხმა გავრცელდა თითქოს რუსეთმა საზავო მოლაპარაკება დაიწყოო. ეს ხმა ყოვლად სიმართლეს მოკლებულია. მას უარყოფს დრ. მმართველობის გარეშე საქმეთა სამინისტრო და დიდ ბრიტანეთის სადესპანო.

## ჩხეიძის განცხადება.

დემოკრატიის თათბირის შესახებ ჩხეიძემ „ბირჟ. ვედ." თანამშრომელს უთხრა: კადეტებთან შეთანხმებულ მუშაობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ის გზა, რომელსაც დეპუტატთა საბჭოები დაადგნენ სწორი და მიზანშეწონილია. თავი უნდა დავაღწიოთ ილუზიებს და შევქმნათ ნამდვილი ძლიერი მთავრობა, რომელსაც შეეძლება ქვეყანა აწინდელ უმწეო ყოფისგან გამოიყვანოს.

## პეტრეს ქალაქს არ სცლიან.

ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი პრესაში აცხადებს, რომ გაზეთებში მოყვანილი ცნობა სატახტო ქალაქის დაცლის შესახებ მართალი არ არის. დრ. მმართველობას განზრახული აქვს პეტროგრადიდან მხოლოდ ზოგიერთ ზედმეტ დაწესებულების გადატანა, რათა, მით სურსათის საქმე მოწესრიგდეს.

## ფინეთის გენერალ გუბერნატორი.

ფინეთის გენერალ-გუბერნატორი სტახოვიჩი ავათ გახდა მის მაგივრათ დაინიშნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ნეკრასოვი.

## ფინეთის საქმეთა მდივნის მოხსენება.

პეტრეს ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ქ. ჰელსინგფორსში და ფინეთის სხვა ადგილებში მძაფრი სეპარატიული აგიტაცია სწარმოებსო. ამის გამო ფინეთის საქმეთა მდივანმა ენკელმა მოხსენება წარმოადგინა, რომელშიც ნათქვამია: ფინეთში ამჟამად წარმოებს საარჩევნო კომპანია, რომლის საერთო ლოზუნგიც არის: დამოუკიდებლობა ფინეთისა". ენკელი ამბობს, ასეთი ლოზუნგი მოძრაობამ ფინეთში ჯერ კიდევ მაშინ მიიღო როდესაც რუსეთში რესპუბლიკა არ იყო გამოცხადებულიო.

## განათლების სამინისტროში.

სახალხო განათლების სამინისტროს მმართველმა ჟურნალისტებთან თათბირის დროს განაცხადა: სახალხო განათლების სამინისტრო ყოველგვარ პროექტის მიღების და მის განხორციელების დროს იმოქმედებს „სახელმწიფო განათლების კომიტეტთან" შეთანხმებით. ამჟამათ მორიგ კითხვათ დასმულია სასწავლებლებში სამღვთო სჯულის სწავლების კითხვაო",- უთქვამს სამინისტროს მმართველს.

## მთავრობის შესახებ.

სოციალისტ-რევოლუციონერთა ერთ გამოჩენილ წარმომადგენელს (გვარს არ აქვეყნებენ) გაზ. „ბირჟ. ვედ". თანამშრომელსათვის უთქვამს: „როგორც არ უნდა იყოს აწინდელი მდგომარეობა, პირობები და კლასურ-პარტიული ბრძოლა, როგორი მიმდინარეობაც არ უნდა მიიღოს დემოკრატიის თათბირმა, მთავრობა უსათუოთ მაინც კოალიციური იქნებაო.

## ყ რ ი ლ ო ბ ა.

დღეს ენკენისთვის 12-ს შესდგება ქ. მოსკოვში მშრომელ-სახალხო-სოციალისტების პარტიის ყრილობა.

## ყ ა ზ ა ხ ე ბ ი.

ყაზახებმა დემოკრატიის თათბირში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს. ყაზახთა კავშირმა დრ. მმართველობას მიმართა, რათა აილაგმონ ბოლშევიკები, რომლებიც ყაზახთაშორის აგიტაციას ეწევიან და ყაზახებს ოფიცრების წინააღმდეგ ამხედრებენ.

## ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ ი.

სატახტო გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბოლშევიზმი თან და თან იზრდება და შინაური კრიზისი ძლიერდებაო.

## ბოლშევიკებისკენ გადაექანენ.

„ვოლია ნაროდა". სწერს მომხდარმა ამბებმა (კორნილოვის გამოსვლა) დეპუტატთა საბჭოები ბოლშევიკებისკენ გადაექანა, რაც დიდ საფრთხეს უმზადებს რევოლუციას. ქვეყნის წინაშე პასუხის მგებლობა და რევოლიუციის ინტერესი მოითხოვს არა ბოლშევიზმის წინაშე სულ მოკლე კაპიტულაციას, არამედ საქართველოს გონას მოსვლას და ხალხის საღის გზით ხელმძღვანელობას.

## დემოკრატიის ერთობა.

„იზვეს. სოვ. დეპ". სწერს: დემოკრატის თათბირის უმთავრესი დანიშნულება არის, დღევანდელ კრიტიკულ მდგომარეობისთვის და მმართველობის გზის გამონახვა. ამ მიზნით თათბირზე წარმოდგენილი იქნება დემოკრატია გლეხობის, მუშების, და მეშჩანების სახელით საჭიროა თათბირს დემოკრატიის რაც შეიძლება ფართე ნაწილი დაესწროს და მით საფუძველი ჩაეყაროს ერთობის შესაძლებლობას.

## კოპერაციის წარმომადგენელი უსათუოდ უნდა დაესწრონ.

„რაბოჩაია გაზეტა" სწერს: კოპერაციების წარმამადგენელნი ვალდებულნი არიან უსათუოთ დაესწრონ დემოკრატიის თათბირს. იმედი გვაქვს, მოსკოვში მოწვეული კოპერაციის წარმომადგენელთა ბჭობა ამას შეიგნებს.

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი.

✦ სესხი საგუბ. კომისარიატისთვის. შინაგან საქართ. სამინისტრო გუბერნიის კომისარს ატყობინებს, რომ კომისარიატისთვის კრედიტი (ნოემბრის და დეკემბრის) წინდაწინვე იქნება გადადებული. რაც შეეხება ისეთ ხარჯებს, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებლობას არ წარმოიდგენს, საჭიროა შეჩერდეს მათზე სესხის გამოწერა, რადგან სამინისტროს თავისუფალი თანხა არა აქვს.

✦ დეპეშა. გუშინ ქუთაისის სამოსწავლო კომისარიატს შემდეგი დეპეშა მოუვიდა თბილისიდან. „დაუყოვნებლივ შეჩერდეს ყველა სასწავლებლებში მისაღები და კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები". გუბერნიის კომისარიატმა ამ დეპეშის საპასუხოთ, შემდეგი დეპეშა გაგზავნა: „მოსწავლეთა მშობლები ქალაქში არიან ჩამოსული, ხარჯები დიდი მოსდით, გამოცდები უკვე დაწყებულია და ახლა მათი შეჩერება ყოვლად შეუძლებელია".

✦ ქუთ. ვაჭართა ბიუროს თხოვნა. ამას წინათ ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა ბიუროს თათბირი ჰქონდა იმ მდგომარეობის და პირობების შესახებ, რომელიც შეიქნა სხვადასხვა სურსათის შეძენის და მიზიდვის საქმეში. ქუთაისის ვაჭრები აღნიშნავენ, რომ მათ სასურსათო კომიტეტმა თითქმის სულ წართვა თავისნობის უფლება. ამ ჟამად კერძო ვაჭრებს სურსათი ველარ შემოაქვთ, რის გამო მცხოვრებნი მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ. ვაჭარ-მრეწველნი სთხოვენ გუბერნიის კომისარს, მიეცეთ მათ უფლება სხვადასხვა სურსათის შემოსაზიდათ, რომელ სურსათსაც გაჰყიდიან დაწესებულ ფასებში. ვაჭრები აცხადებენ, რომ ისინი შესძლებენ სხვადასხვა სურსათის შეძენას და დროზე შემოტანას.

✦ სამრევლო და საანბანო სკოლები. სახალხო განათლების სამინისტრო ქუთაისის გუბერნიის კომისარს ატყობინებს, რომ ამიერიდან სამრევლო და საანბანო სკოლები გადადის სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებაში. სამინისტრო სთხოვს გუბერნიის კომისარს, დახმარება აღმოუჩინოს კომისიებს ამ საქმის შესრულებაში.

✦ შეკითხვა ქუთაისის გუბერნიის კომისარი მაზრის კომისარებს შეეკითხა, ქუთაისის გუბერნიის რომელ ადგილებში და რამდენი სტამბა არსებობს. შორაპნის მაზრის კომისარი ატყობინებს გუბერნიის კომისარს, რომ შორაპნის მაზრაში სტამბა არის მხოლოთ ქ. ზესტაფონში.

✦ მამულების ჩამორთმევის შესახებ. სოფ. ოყურეშის (ლეჩხუმის მაზრა) მცხოვრები დავით მანდარიანი გუბერნიის კომისარს შემდეგს აუწყებს. აგვისტოს 25-ს ლეჩხუმის მაზრის კომიტეტმა ხალხს აუწყა, რომ დღეიდან გლეხები დაეპატრონებიან ყველა სამუშაო მიწებს და უკან დაიბრუნებენ განაყოფ ადგილებს. მის გამო აქ უკვე შეუდგენ მიწის წართმევას. მართმევენ მე ყანით დათესილ მიწას რის გამო ამ წელში ულუკმოდ დავრჩები. გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რომ დღესვე ნუ წამართმევენ მიწას და მერე, დამფუძნებელი კრება რასაც დაადგენს, იმას დავემორჩილებით.

✦ ახალი წიგნაკი. ქუთ. მუშათა ბეჭდვითი საქმის პროფესიულმა კავშირმა გამოსცა კ. მასლოვის წიგნაკი ქართულ ენაზე „როგორ უნდა მოიპოვონ გლეხებმა მიწები" წიგნი სუფთად არის გამოცემული შეიცავს 34 გვერდს და ღირს 25 კაპ.

✦ ყაჩაღობა. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის ერთი წევრი აუწყებს გუბერნიის კომისარს, რომ სოხუმის ოლქში და სენაკის მაზრაში ბოლო ხანს არაჩვეულებრივათ გახშირებულა ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა. ყაჩაღობენ დღით, რის გამოც მიმოსვლა შეუძლებელი ხდება. განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროებში გაძლიერებულა ყაჩაღობა. კომისარს სთხოვენ სასწრაფოთ ზომების მიღებას.

✦ თათბირი, ენკენისთვის 20-ს ქ. თბილისში მოიწვევენ თათბირს კავკასიაში სულის ავადმყოფობასთან მებრძოლ საზოგადოების დასაარსებლათ. თათბირის მომწყობი კომისია ქუთაისის გუბერნიის კომისარს აუწყებს, საჭიროა ხალხს ადგილობრივათ განემარტოს ფსიხიატრიულ ლაბორატორიის მნიშვნელობა და გუბერნიამ გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი ხსენებულ თათბირზეო.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ დიმიტრი კუპრაძემ დაჰკარგა მაძებარი ძაღლი „პონტერი". ფერად თეთრი, კუდ მოკლე, სახელათ ჯეკი. მპოვნელს სთხოვს, შეატყობინოს შემდეგის მისამართით: სადორიის აგარაკი, დიმიტრი კუპრაძეს, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

## თბილისი.

— საეკლესიო კრება. ენკენისთვის 9 სიონში საეკლესიო კრების დელეგატების და აუარებელ მლოცველთა დასწრებით შესრულებულ იქმნა ლიტურღია. მწირველი იყო სრულიად საქართველოს კათალიკოზი პატრიარქი მოსაყდრე თბილელი მიტროპოლიტი ყ. ს. ლეონიდე ეპისკოპოსთა თანამწირველობით. შემდეგ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი და შესრულებული ძეგლის წესი. საღამოს დაიწყო საორგანიზაციო თათბირი და აირჩიეს სამანდატო კომისია, რომელშიც შევიდენ ყველა პარტიის წარმომადგენელნი.

— საქართველოს კათალიკოსის კანდიდატათ პეტროგრადის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორ ალ. ცაგარელს ასახელებენ. ალ. ცაგარელი საეკლესიო საკითხების კარგ მცოდნეთ ითვლება.

— ქართულ ეკლესიის მომწყობი კომისია. „პეტრ. სააგენტოს გადმოცემით საქართველოს მართლ მადიდებელ ეკლესიის დროებით მოსაწესრიგებლათ პეტროგრადში შესდგა საგანგებო კომისია პროფესორ ნოლდეს თავმჯდომარეობით.

-- მისალმება საეკლესიო კრებას. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნა საქართველოს საეკლესიო კრებას. წერილი გრძნობიერად არის შედგენილი.

— პურის მონოპოლია კავკასიაში. სამინისტრო სასურსათო საქმეებისა წინადადებას აძლევს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს გამოარკვიოს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელი და სასურველია პურის მონოპოლია ამიერ კავკასიაში.

-- უნივერსიტეტი თბილისში. უკანასკნელ ცნობების მიხედვით, საბოლოოდ გადაწყვეტილია იურიევის (დორპატის) უნივერსიტეტის ევაკუაცია. აზრად ჰქონდათ ვორონეჟში გადაიტანონ უნივერსიტეტი. თბილისის თვითმართველობის შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ უნივერსიტეტი თბილისში იქმნას გადმოტანილ მხედველობაში მიუღიათ და განიხილავენ.

— პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე. დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლების ყრილობაზედ, რომელიც პეტროგრადშია მოწვეული 12 ენკენისთვისათვის, ქართულ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობა პარტიათა შეთანხმებით გაგზავნილ იქმნენ: შალვა ამირეჯიბი, აკაკი ჩხენკელი და სიმონ მდივანი.

-- პეტროგრადის დემოკრატიულ ყრილობაზე გასაგზავნად კავ. მ., ჯარ. და გლეხ. ცენტრმა დელეგატებად აირჩია: ნ. ჟორდანია, ი. ქარცივაძე და მ. ცხაკაია; მათ კანდიდატად — ვ. ჯუღელი. ცენტრმა შემდეგი დირექტივები მისცა თავისს დელეგატებს: 1) დამფუძნებელ კრების მოწვევა დანიშნულ დროს, 2) მხედრობის რეორგანიზაცია, 3) ზავის დამყარება დაუყოვნებლივ და 4) ადგილმამულის კონფისკაცია.

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

— გაფიცვა შორაპნის მაზრის კომისარიატი იტყობინება, რომ ხსენებულ კომისარიატის წევრები წინადადება მეტად უმძიმეს მდგომარეობაში არიან და თუ მათი თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული უსათუოდ გაიფიცებიან.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალაქის საბჭოს სხდომა.

## 9 ენკენისთვე.

საბჭოს თავჯდომარე ალ. ი. ჯაფარიძე კრებას ხსნის საღამოს 8 ნახ. საათზე. თხოულობს ხმოსნებმა დაიკავონ თავ-თავისი ადგილები. აცხადებს, რომ კრებაზე გამოცხადდა 37 ხმოსანი.

## დღის წესრიგი.

დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი კითხვები: 1) არჩევა ქალაქის თავის ამხანაგისა, 2) სამი გამგეობის წევრისა, 3) საბჭოს მდივნისა, 4) სამი წარმომადგენელისა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტში დასასწრებლათ და 5) თითო წარმომადგენელისა გუბერნიის და მაზრის საადგილ-მამულო კომიტეტში.

## წასული კრებების ოქმები.

თავჯდომარის წინადადებით წასული კრებების ოქმებს კითხულობს თვითმართველობის მდივანი დ. ავალიანი.

ოქმის წაკითხვის შემდეგ ხმ. გრ. გიორგაძე შენიშვნას აძლევს მდივანს, რომ პირველ კრებაზე ადგილი არ ჰქონია გ. ლაღიძის შენიშვნას ყოფილი ქალაქის თავისადმი, რომ ქართულად ელაპარაკნა და ამის შესახებ არავითარი დადგენილება არ გამოგვიტანიაო. თხოულობს, რომ ოქმის ეს ადგილი შესწორებულ იქნეს. ხმ. გიორგაძეს შემოაქვს წინადადება, წესრიგში შეტანილ იქნეს კითხვა, თუ ოქმების შედგენა რომელ ენაზე სწარმოებდეს.

**გრ. გველესიანი:** როდესაც მდივანმა ოქმის კითხვა რუსულად დაიწყო მე განცვიფრებაში მოვედი. ყოველთვის ქართულათ გვაქვს ლაპარაკი და ოქმებიც აუცილებლათ ქართულ ენაზე უნდა დაიწეროს. არამც თუ ოქმები, ჩვენ ყოველივე საქმის წარმოება ქართულ ენაზე უნდა დავაწესოთ. ამას მოითხოვს დემოკრატიის ინტერესები.

**დ. ავალიანი:** პირველ სხდომაზე შენიშვნა მისცეს ყოფილ ქალაქის თავს, მეგონა, ყველა ხმოსანმა მხარი დაუჭირა, და მეც ოქმში შევიტანე. გველესიანის განცხადება მართალია და მეც ვფიქრობდი ოქმი ქართულად შემედგინა, მაგრამ ჯერ ხელს გვიშლის ტეხნიკური დაბრკოლება, რადგანაც ქართული საწერი მანქანა არა გვაქვს.

**გრ. ლაღიძე** ახსენებს კრებას, მე მივეცი შენიშვნა პირველ სხდომაზე ყოფილ ქალაქის თავსო.

**გრ. გიორგაძე:** წასული კრების ოქმი სუბიექტიურათ არის შედგენილი. მე ჩვენი ფრაქციის სახელიც წინადადებას ვაძლევ მდივანს, რომ ოქმები ყოველთვის ობიექტიურათ შეადგინოს და ისეთ ფაქტს, რომელსაც კრებაზე ადგილი არ ჰქონია, ოქმში ნუ შეიტანს. პირველ სხდომაზე ლაღიძეს კი არ მიუცია შენიშვნა ყოფილი ქალაქის თავისთვის, არამედ ა. წერეთელმა და ლაღიძემ დაცინვით წამოიძახეს: „ჩვენ რუსული არ გვესმის". ჩვენი ფრაქცია მომხრეა ქართულ ენაზე იყვეს კამათი, ოქმებიც დაიწეროს ქართულად და „რეზოლიუციები" მოკლედ რუსულადაც. რაც შეეხება ქართულად საქმის წარმოებას არის ერთი დაბრკოლება, მიწერ-მოწერა ქართულ ენაზე არ მოხერხდება, მაგრამ ეს კითხვა დავსვათ დღის წესრიგში და შემდეგ კრებაზე გავარჩიოთ.

**თავ. ა. ჯაფარიძე:** პირველ კრებაზე პირველად მე დავიწყე ქართულად ლაპარაკი და შემდეგ ყველა ქართულად ლაპარაკობსო, იგი წინადადებას აძლევს კრებას, რომ ამის შესახებ კამათი შესწყვიტონ. მოითხოვს გამგეობის კანდიდატები დაასახელონ.

## დღის წესრიგის უწყებების შესახებ.

**გრ. გველესიანი:** კრების წინ ხმოსნებს აუცილებლათ უნდა დაურიგდეს უწყებები დღის წესრიგის აღნუსხვით, რომ ხმოსნები მომზადებული მოვიდენ კრებაზე და იცოდენ, რა საკითხებია გასარჩევი. ასეთი უწყებები შემოღებული იყო ძველათ. ასე უნდა იყოს ეხლაც. აგრეთვე საჭიროა წესრიგი იმ მხრითაც, რომ ხმოსნები თავიანთ ადგილზე უნდა ისხდენ, სტუმრებს

კი ცალკე ადგილი უნდა დაეთმოს.

**თავჯდომარე**: ჩვენ დღის წესრიგი დაგზავნილი გვქონდა. კითხულობს საერთო სიას, სადაც აღნუსხულია, თუ რა კითხვები უნდა გარჩეულიყო დღეს.

**ალ. წერეთელი**: ეს უწყება არ გახლავთ, ეს არის უბრალო სიახმოვნების დაბარებისა. მე მაგალითად ქუჩაში მომაწერინეს ხელი და ქუჩაში მოუხერხებელია ყველაფერი წაიკითხო და დაიმახსოვრო. გველესიანის შენიშვნა სამართლიანია და მას ყურადღება უნდა მიექცეს.

**დ. ავალიანი** აღნიშნავს რომ გველესიანის შენიშვნა მართალია, მაგრამ ეს მოხდა სიჩქარით და შემდეგში არ გამეორდებაო.

**ი. კაკაბაძე**: საჭიროა უწყებები რამდენიმე დღით ადრე დაეგზავნოს ხმოსნებს, რომ ყველაფერი რიგზე გაითვალისწინონ.

**თავ. ა. ჯაფარიძე**: ჩვენც ვამჩნევთ ამის საჭიროებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ნება მოგვეცით, რომ ასე მოვიქცეთ, რადგანაც ბევრი საქმე გვაქვს და ყველაფერის ერთად გაკეთება შეუძლებელია.

**გრ. გიორგაძე**: ამ კითხვას პოლიტიკური ხასიათი აქვს. მიუხედავათ აუცილებლობისა დღეს არ მოხერხდება ამის განხორციელება, რადგანაც ჯერ გამგეობის მთელი შემადგენლობა არ გვყავს.

**გრ. გველესიანი** თხოულობს, რომ დაიბეჭდოს **ქალაქის** ახალი დებულებანი და დაეგზავნოს ხმოსნებს თავიანთ მოვალეობის გასაცნობად.

**გრ. გიორგაძე** ამას შეუძლებლათ სცნობს და ამბობს, ამისთვის ,,ნაკაზი'' არსებობსო.

**გრ. გველესიანი** ლაპარაკობს თავჯდომარე ზარს აწკარუნებს· სიტყვას აწყვეტინებს. ისმის ხმაურობა. აურ-ზაურია. გველესიანი ემორჩილება და ჯდება.

თავმჯდომარეს წინადადება შემოაქვს, ამ კითხვაზე კამათი შესწყდეს და საქმეს შეუდგენ. წინადადება კრებამ მიიღო.

**არჩევნები გამგეობის შემადგენლობისა.**

**ი. კაკაბაძე** (ს. რევ.) ჩვენმა ფრაქციამ გაითვალისწინა, რომ რევოლუციის გაღრმავებისათვის საჭიროა საერთო ძალით მუშაობა და იმ დასკვნამდის მივიდა, რომ წამოაყენოს თავისი კანდიდატები: ქალაქის თავის ამხანაგათ მირ. ბასილია და გამგეობის წევრათ ი. მ. თევზაძე.

**გრ. გიორგაძე.** ჩვენ ამ კანდიდატებს ხმას მივცემთ და სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ შეთანხმება მოხდა. გამგეობის მესამე წევრათ ვასახელებთ შ. სანებლიძეს.

**თავმჯდომარე**: გთხოვთ დაასახელოთ კიდევ საბჭოს მდივანი.

ს. კილაძე (ს. დემ.) ჩვენი ფრაქცია საბჭოს მდივნათ ასახელებს თ. ს. ჭუმბურიძეს.

**თავჯდომარე** თხოულობს. რომ დაასახელონ გუბერნიის სასურსათო და საადგილ მამულო კომიტეტების წევრები.

გუბერნიის სასურსათო კომიტეტის წევრებათ ს. დემოკრატთა ფრაქცია ასახელებს ს. კილაძეს, ს. რევოლიუციონერთა ფრაქცია კი ხმოს. თევდორაძეს.

**გ.** გიორგაძე ყუთი დაუდგათ ჯერ გამგეობისა და შემდეგ კომიტეტის წევრები აირჩიონ. ამ წინადადებას კრება ღებულობს.

უდგამენ ყუთებს.

მირ. ბასილიამ მიიღო 37 ხმა, შ. სანებლიძეს 37 ხმა, ი, თევზაძეს 36 წინააღმდეგ ერთისა და თ. ჭუმბურიძეს 37 ხმა.

თავმჯდომარე კრებას აცნობებს, რომ ქალაქის თავის ამხანაგათ არჩეულია მირ. ბასილია წევრებათ შ. სანებლიძე და ი. თევზაძე და საბჭოს მდივნათ თ. ჭუმბურიძე.

**გრ. გიორგაძე.** წინადადებას იძლევა, რომ სასურსათო კომიტეტში აირჩიონ ეხლა მხოლოდ ორი წარმომადგენელი, რადგანაც მესამე ადგილს უთმობდით ფედერალისტებს (ს. ფედერედრალისტები შენიშვნას აძლევენ რომ იხმაროს სიტყვა სოციალისტ-ფედერალისტები და არა ფედერალისტები ხმოსნები იცინიან.) მაგრამ ისინი უარს აცხადებენ. ჩვენ დასახელებული არა გვყავს მესამე კანდიდატი და მისი არჩევა შემდეგი კრებისათვის გადავდვათ.

**ხმ. თალაკვაძე**: ს.- ფედერალისტებმა არ მიიღეს მონაწილეობა გამგეობაში და შეგვპირდენ რომ სხვაგამ ყველგან იმუშავებდენ. ჩვენ გვეგონა დაპირებას შეასრულებდენ, მაგრამ იმედი გამტყუნდა და არ ვიცი რას ნიშნავს ეს.

**გრ. გველესიანი**; ყოველი ხმოსნისათვის საჭიროა, რომ თავისი მოვალეობა გათვალისწინებული ჰქონდეს. ქალაქის თვითმართველობაში ირჩევენ ორ კომისიას: მოსამზადებელს და აღმასრულებელს. ამას ქალაქის გამგეობა გვერდს ვერ აუხვევს. თალაკვაძეს მოვახსენებ, რომ იქ, სადაც უმცირესობას უმრავლესობის დადგენილების შესრულება დასჭირდება, ჩვენ მონაწილეობას ვერ მივიღებთ. ასეთი აღმასრულებელი ორგანო არის სასურსათო კომიტეტი. რაც შეეხება სხვა კომიტეტებს, როგორც საორგანიზაციოს, საადგილ-მამულოს და სხვა, სადაც უფრო მეტი სამუშევარია ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ.

გრ. გიორგაძე: გველესიანი ცოტა სიტყვებით თამაშობს. ისინი (ს.-ფედერ.) არ იღებენ მონაწილეობას იმისთვის, რომ უმრავლესობის დადგენილების შესრულება დასჭირდებათ სასურსათო კომიტეტშიც არის აღმასრულებელი ორგანო, მაგრამ ჩვენ იქ წევრებს ვაგზავნით, როგორც უბრალო წევრებს და არ ვავალებთ აღმასრულებელი როლი ითამაშონ. (აღელვებული) ისინი მოვიწვიეთ ჩვენ სასურსათო კომიტეტში სამუშაოთ. ყველას მოეხსენება, რომ ამ კომიტეტის გარშემო ათასი ხმებია გავრცელებული. მალულათ ჩვენ საქმის გაკეთება არ გვინდა, მაგრამ ისინი გაურბიან საქმეს ამ რევოლუციის დროს. რას ნიშნავს ეს? ეს რევოლიუციის ღალატია. დიახ ისინი რევოლუციურ მუშაობას გაურბიან.

ა. წერეთელი: ტყუილია. ჩვენ არასოდეს რევოლიუციურ მუშაობას არ გავქცევივართ და არც გავექცევით. მე არ მინდოდა დღეს ეს მეთქვა, მაგრამ ხაზგასმით გეტყვით, რომ საქართველოში არ არის ისეთი წამებული სოციალისტური პარტია, როგორც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაა. ათასჯერ დაგვარბიეს გვაწამებენ და გურიიდან დღესაც სამარცხვინო დეპეშები მოგვდის, სამ ადგილას დაუფხრეწიათ დროშები. ა. ჯორჯაძის სურათებს ფეხქვეშ სთელავენ. ჩვენ ცოტანი ვართ. დატვირთული ვართ საქმეებით და სასურსათო კომიტეტში კაცს ვერ გავგზავნით.

გრ. გიორგაძე: ხმ. გველესიანი აცხადებს ვერ ვიმუშავებთ იმისთვის, რომ ჩვენ აღმასრულებელის როლის შესრულება დაგვჭირდებაო. სულ წინააღმდეგს ამბობს წერეთელი, წერეთელის სიტყვა რომ პირველად გაგვეგონა, ჩვენ გავჩუმდებოდით, მაგრამ, როდესაც ერთი მეორეს საწინააღმდეგო აზრებს ამბობენ ნება გვიბოძეთ მათ საქმიანობაში ეჭვი შეგვეპაროს. კრების თანხმობით კამათი წყდება. ს. კილაძეს და თევდორაძეს ერთხმათ ირჩევენ.

სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტის წევრებათ სოც.-რევოლ. ასახელებენ ვსევ. კაპანაძეს, ს.-დემოკრატები ხმოს. გელაზაროვს.

ალ. წერეთელი: ჩვენ გრ. ლალიძეს დავასახელებდით. მაზრის საადგილ-მამულო კომიტეტის წევრათ არჩეულ იქმნა გელაზაროვი. გუბერნიის საადგილ-მამულო კომიტეტის კანდიდატებს, გ. ლალიძეს და ვ. კაპანაძეს ყუთს უდგამენ კაპანაძემ მიიღო 29 ხმა წინააღმდეგ 7-სა და გრ. ლალიძემ 13 წინააღმდეგ 23-სა.

ამ რიგათ გუბერ. საადგილ-მამულო კომიტეტში არჩეულ იქმნა ვ. კაპანაძე.

გრ. გიორგაძეს წინადადება შემოაქვს, არჩეულ იქმნეს საორგანიზაციო კომისია ხუთი კაციდან შემდგარი, რომელიც ქალაქის გამგეობასთან ერთად გაანაწილებს სხვა და სხვა კომისიებს. ხმ. გიორგაძე თავის ფრაქციის სახელით ასახელებს თალაკვაძეს და კოსტავას. ს.-ფედერალისტები ასახელებენ გრ. გველესიანს, ს.-რევოლ. ბ. მახვილაძეს და ერთ ადგილს სტოვებენ ეროვნულ-დემოკრატებისათვის. კრებამ ეს ერთხმათ მიიღო.

ალ. წერეთელი აცხადებს: რადგანაც სწავლა მალე იწყება საჭიროა მასწავლებელთა გადარჩევა და ამისთვის საჭიროა ავირჩიოთ კომისია, რომ საკითხი გამოარკვიოსო.

თავჯდომარე: ამის შესახებ შემდეგ სხდომაზე გვექნება კამათი.

გრ. გიორგაძე: ჩვენს ფრაქციას ჰქონდა ამის შესახებ მსჯელობა და გამოითქვა აზრი, რომ მასწავლებელთა გადარჩევა მალე მოხდეს. ამ კითხვის გარჩევა შემდეგი კრებისათვის გადადვეს.

საბჭოს თავჯდომარე ა. ი. ჯაფარიძე კრებას 10 ნახ. საათზე დახურულათ აცხადებს.

ნ. ა—ნი.

## დასავლეთ საქართველოს

### სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა

8 ენკენისთვე.

**უკანასკნელი კრება**

კრება დილის 8 საათზე გახსნა თავმჯდომარემ გავაშელმა და კრებას სთხოვა, რომ გამოიჩინოს მუშაობაში ენერგია და საქმეების გარჩევა დღესვე დაასრულოს.

მ. ხ. ფაჩუაშვილი კითხულობს სკოლების მართვა-გამგეობის სექციის დადგენილებებს. თვითეულ მუხლს ცალ-ცალკე არჩევენ და შესწორებით ამტკიცებენ.

**საამხანაგო სასამართლო**

კრებამ იქონია მსჯელობა მასწავლებელთა საამხანაგო სასამართლოს შესახებ და გამოირკვა, რომ ხშირათ მასწავლებლისათვის სასტიკი სასჯელი მიუსაჯიათ რაც მასწავლებელს საშუალებას აუთმევს თავისი მოვალეობის შესრულება ·განაგრძოს

ამ კითხვის შესახებ აზრების გაზიარების შემდეგ და დაადგინეს, რომ ყოველივე საქმე გარჩეულ იქნეს ფილიალებში და, დადგენილება ფილიალმა თუ არ დაამტკიცა, იმ შემთხვევაში გადატანილ იქმნეს მთავარ გამგეობაში.

**ს. ხუნდაძე** ამბობს, თუ სასამართლომ განაჩენი ერთ ხმათ მიიღო, ის გადატანილ არ უნდა იქნეს მთავარ გამგეობაშიო.

შემოვიდა წინადადება რომ სასამართლო ინტერპარტიული იყოს, ყველა პარტიის მასწავლებელთაგან შესდგებოდეს. კრებამ საერთო წინადადებები მიიღო.

**მოწაფეთა წლოვანობის და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ.**

**ვლ. ნაცვლიშვილი** აყენებს კითხვას, თუ რა წლოვანების ბავში უნდა იქნეს მიღებული სკოლაში. ყურადღებას აქცევს შერეულ სკოლას და ამბობს: არის ისეთი სკოლები სადაც მხოლოდ თითო მასწავლებელი არის და საქმეს ვერ აუდისო.

**პ. ჭანიშვილი** ამბობს: ჯერ ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ მოწაფის წლოვანებას. მშობელმა 12 წლის ბავშიც რომ მოგვიყვანოს, უნდა ვასწავლოთ. შერეულ სკოლაც უნდა დარჩეს ჯერჯერობით, ხოლო რაც შეეხება მასწავლებელთა რაოდენობას, ამას კომისარიატმა უნდა მიაქციოს ყურადღება და ისეთ სკოლებში, სადაც სამი განყოფილებაა, ორი მასწავლებელი მაინც დაინიშნოსო.

კრება იწონებს ჭანიშვილის აზრს.

**საპროგრამო სექციის მოხსენება.**

საპროგრამო სექციის მდივანი კითხულობს ხსენებული სექციის მუშაობის ოქმს. ოქმი კრებამ ერთხმათ დაამტკიცა.

**ნაციონალიზაციის შესახებ.**

**ს. ხუნდაძე**: ნაციონალიზაციის კითხვაში ჩვენი უმთავრესი ყურადღება მიქცეული უნდა იყვეს სკოლების გაქართულების შესახებ. საჭირო იყო რომ ნაციონალიზაცია სკოლებისა გამოაქვეყნებია დროებით მთავრობას და ამისთვის მხარი დაეჭირა თბილისის კომისარიატს, მაგრამ ეს არ მოხდა. გუშინ ჩვენ, დასავლეთ საქართველოს კომისარებმა, კავკასიის კომისარიატიდან დეპეში მივიღეთ, სადაც ნათქვამია, რომ სკოლების ნაციონალიზაცია განხორციელდეს მხოლოდ პირველ კლასამდის და გვთხოვენ, რომ ეს დადგენილება დაუგზავნოთ ყველა სასწავლებელს. როგორც სჩანს, ჩვენს სურვილებს წინ უდგებიან. ამას წინეთ ჩვენ თბილისში გავგზავნეთ ამის შესახებ დელეგატები, მაგრამ სხვა ერების წარმომადგენლებმა ჩვენ მხარი არ დაგვიჭირეს, რადგანაც ისინი ჯერ სკოლის ნაციონალიზაციას ვერ ახერხებენ. შემდეგ კიდევ გავგზავნეთ კაცი და მან დაგვაიმედა, მაგრამ გუშინ როგორც მოვახსენეთ უარყოფითი დეპეში მივიღეთ. ახლა უნდა დავადგეთ, ხუნდაძის გადმოცემით, ყველა კომისარები აწერს ხელს დეპეშს გარდა ლ. ნათაძისა.

**ჭანიშვილი**: ნუ დაეგზავნება ასეთი ცნობები სასწავლებლებს. ჩვენ შევებრძოლოთ ყოველ ძალადობას და ჩვენი დადგენილება ცხოვრებაში გავატაროთ.

**ს. ხუნდაძე** კითხვას აყენებს, როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, რომ ჯამაგირები მოგვისპონ.

**ფაჩუაშვილი**: დაეგზავნოს სასწავლებლებს მოწერილობა. სულ ერთია ესეთ მოწერილობებს ჩვენ არ შევასრულებთ. კრებამ დაადგინა, რომ დეპეშის შინაარსი ნუ ეცნობება სასწავლებლებს.

**ტაქტიკის საკითხი.**

**პ. ჭანიშვილი**: ჩვენს დადგენილებებს რომ ძალა ჰქონდეს. ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ მასწავლებლებს, რომელთაც კრება მიატოვეს. ისინი უეჭველათ პროტესტს გამოუცხადებენ ჩვენ დადგენილებას და არ მიიღებენ. ამ სთვის საჭიროა გაიგზავნოს ჩვენი რეზოლუციები ფილიალებში, რომ ყველა წევრი გაეცნოს და იქ კენჭის ყრით მიიღონ. იმედი გვაქვს, თომ ფილიალებში დადგენილება გავა, რადგანაც მასწავლებელთა უმეტესობა ჩვენ მხარს იჭერს. ვსთქვათ დასეულებმა იქაც არ მიიღეს მონაწილეობა· უმეტესობა მაინც მომხრე იქნება და რეზოლუციები კანონიერათ ჩაითვლება.

ჯგუში ყურადღებას აქცევს ჯამაგირების მოსპობას და ამბობს: ჩვენ მან არ უნდა შეგვაშინოს, არ უნდა დავყაროთ ხელიდან იარაღი და ბავშებს უსასყიდლოთ ვასწავლოთო.

**მიქაბერიძე.** წინააღმდეგია, რომ დადგენილებანი ფილიალებში დაიგზავნოს ხელ მეორეთ გასარჩევათ.

**ცაგარეიშვილი** იწონებს ჯგუშის აზრს და ამბობს: თუ ხაზინა მოგვისპობს ჯამაგირებს, თვით საზოგადოება მოგვაქცევს ყურადღებას და ცოტა დახმარებას მაინც გაგვიწევსო.

**ბახტაძე.** წინადადება შემოაქვს, რომ დაარსდეს ერთგვარი ფონდი, საიდანაც უმწეო მდგომარეობაში მყოფ მასწავლებლებს დახმარებას აღმოუჩენენ.

**სულმანიძე.** წინაღმდეგია, რომ დადგენილებანი ფილიალებში გაიგზავნოს ხელმეორეთ გასარჩევათ. ამ წინადადებას კენჭს უყრიან. წინადადება მიღებულია.

შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ დაარსდეს გაფიცვის ფონდი, საიდანაც გაჭირებაში მყოფ მასწავლებლებს დახმარება მიეცემათ.

კრებამ მიიღო აგრეთვე ჯგუფის წინადადება, რომ თუ ჯამაგირები მოგვისპონ, ადგილებზე დავრჩეთ და ვიმუშაოთო.

**ჯარში გაწვეულ მასწავლებლების შესახებ.**

აზრების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინეს, რომ აღძრულ იქნას შუამდგომლობა, რათა ჯარში გაწვეული მასწავლებლები დააბრუნონ თავიანთ ადგილებზე.

**სამეურნეო სასწავლებლებში მომხდარი ინციდენტი.**

**ჭანიშვილს** შემოაქვს წინადადება: რადგანაც ჩვენ სამეურნეო სასწავლებლებში მომხდარი ინციდენტის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვსო, ამის გამორკვევა და გარჩევა მიენდოს საგუბერნიო საამხანაგო სამართალს.

კრება წინადადებას ღებულობს. თავჯდომარე აცხადებს, რომ კითხვების გარჩევა დასრულებულია, მხოლოდ ასარჩევია აღმასრულებელი კომიტეტის და საგუბერნიო ყრილობის საბჭოს წევრები.

საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის წევრებათ აირჩიეს: იმნაძე, ჭანიშვილი, ნაცვლიშვილი, შუბლაძე და თევზაძე, ხოლო მათ კანდიდატებათ ჯუღელი და ჩიმაკაძე.

კამათი გამოიწვია საბჭოს წევრების განაწილებამ. ს.—ფედერალისტები ხუთ ადგილში სამს ს.- დემოკრატებს უთმობდენ და ორს ს. რევოლუციონერებს. ამ რიგათ ეროვნ. დემოკრატები ავიწყდებოდათ.

ერთმა მასწავლებელმა შენიშნა, რომ ინციდენტის ოქმში ნახსენები გვყავს ერ. დემოკრატები და მათ, რომ ადგილი არ დაუთმოთ ჩვენს თავს უხერხულ მდგომარებაში ჩავაყენებთო. წინადადებას კენჭს უყრიან და ერ. დემოკრატებს ერთ ადგილს უთმობენ.

ასახელებენ კანდიდატებს. კენჭის ყრით ს.—ფედერ. მხრით გადიან გავაშელი, ჭანიშვილი, კვაკვაძე და ნაცვლიშვილი, ხოლო კანდიდატებათ ჩხენკელიშვილი და ცომაიაშვილი.

ს. რევოლიუც. მხრით: ფაჩუაშვილი და კაკაბაძე, ხოლო კანდიდატათ ჯუღელი. ეროვ. დემოკრატების მხრით კანდიდატს ასახელებს თვით კრება. დასახელებულ იქმნა ორი კანდიდატი: დ. ორყრეშიძე და აბზიანიძე. კენჭის ყრით გაიყვანეს დ. ორყრეშიძე.

სამი ადგილი დასტოვეს ს. დემოკრატებისათვის და იმათ თუ მონაწილეობა არ მიიღეს, მათ ადგილს იკავებენ კანდიდატები ორი ს. ფედერალისტების და ერთი ს.-რევოლუციონერების მხრით.

თავჯდომარემ დელეგატებს მადლობა გადაუხადა მუშაობისათვის და ყრილობა დღის 4 საათზე დახურულათ გამოაცხადა

ნ. ა—ნი.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**

## რკინისგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |


## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 8. ტელეფონი № 101.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი.

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—[illegible] საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

# ძმ. ყორღანაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

ეს არის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 **„საქართველო“** 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი**: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**